

**ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია(ALDA)
დაესწრო ღონისძიებას - სტამბულის ხედვა 2050 წლისთვის : რეაგირება
გლობალიზაციის გამოწვევებზე კონკრეტული პოლიტიკით**

ივნისის თვეში, ასოციაცია სტამბულის მეტროპოლიტენისა და [სტამბულის დაგეგმვის სააგენტოს](#) (IPA) მიერ მიწვეული გახლდათ გეგმის - სტამბულის ხედვა 2050 წლისთვის - წარდგენის და IPA კამპუსის ოფიციალური გახსნის ღონისძიებაზე.

სტამბული 2050 არის ახალი სტრატეგიული და პოლიტიკური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2050 წლისთვის ქალაქი სტამბული იყოს უფრო მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი. ეს არის ორ წელზე მეტი ხნის მონაწილეობით, ინტერდისციპლინარული და სამეცნიერო საქმიანობის შედეგი, რომელიც ხორციელდება მოქალაქეებთან და სხვადასხვა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

მდგრადი განვითარების კუთხით სხვადასხვა, საერთაშორისო ინსტრუმენტებზე, ტენდენციებზე, მიდგომებზე დაყრდნობითა და სტამბულის პრიორიტეტული საკითხების, ამოცანებისა და პოტენციური პრობლემების გათვალისწინებით გეგმა ფოკუსირებულია შვიდ (7) ძირითად მიმართულებაზე. ეს მიმართულებებია: კლიმატი და გარემო; ტრანსფორმაციული და გამძლე ეკონომიკა; ხელმისაწვდომი და სამართლიანი ურბანული კეთილმოწყობა; კარგი ცხოვრების უზრუნველსაყოფად კეთილმოწყობილი სივრცეები; ეფექტური და ინკლუზიური მობილურობა; ინტეგრირებული და ჭკვიანი ინფრასტრუქტურის სისტემები; თანაბარი და თავისუფალი საზოგადოება.

**ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია(ALDA) მიწვეული იყო
სტამბულის მეტროპოლიტენის მიერ გეგმის - სტამბულის ხედვა 2050 წლისთვის
- წარდგენის ღონისძიებაზე**

ღონისძიებაზე სტამბულის მერმა ექრემ იმამოღლუმ და გეგმაზე მომუშავე მონაწილეებმა მოქალაქეებს და საერთაშორისო საზოგადოებას წარუდგინეს აღნიშნული პროექტი. შეხვედრა გაიმართა 5 და 6 ივლისს ახლად გახსნილ სტამბულის დაგეგმვის სააგენტოს კამპუსში, ფლორიაში, რომელმაც შეკრიბა ასობით ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტი. განახორციელებულ სემინარებში, კონფერენციებში, აქტივობებში და ღონისძიებებში მონაწილეობით შეიკრიბა მონაწილეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ასოციაციის (ALDA) კოლეგამ, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის დეპარტამენტის პროექტის მენეჯერმა, [ქალბატონმა აპოლინა ბონფილსმა](#), ინავგურაციის პირველ

დღეს მონაწილეობა მიიღო პირველ პანელურ დისკუსიაში - "დისკუსია ქალაქების როლზე მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მიღმა", რომელიც მიზნად ისახავდა ქალაქების მდგრადობის საერთაშორისო ჩარჩოს შესაძლებლობებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას. საღამო და მეორე დღე მიემდგვნა სტამბულის ხედვა 2050 -ის გეგმის პრეზენტაციას და ჩვენებას სხვადასხვა პერსპექტივიდან.

სტამბულის მიერ შემუშავებული ეს ჩარჩო წარმოადგენს ღირებულ და კონკრეტულ მაგალითს სხვა ქალაქებისთვის, თუ როგორ უნდა მოერგონ გლობალიზაციის მიმდინარე გამოწვევებს ადგილობრივ დონეზე ეფექტური პოლიტიკის მეშვეობით. ასოციაცია (ALDA) მადლობას უხდის მეტროპოლიტენს ამ გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობისთვის და მხარს უჭერს სტამბულის ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომლებიც მონაწილეობდნენ მის განვითარებასა და განხორციელებაში.

[შეიტყვეთ მეტი გეგმის - სტამბულის ხედვა 2050 წლისთვის - შესახებ.](#)